გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 11

2024 წლის 12 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/კ 417873849) 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/კ 417873849) 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/კ 417873849) 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 2 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი „გორის მაცნე“

გორის მაცნე

N(p)lb Gori Municipality
newspaper
“Goris matsne”

გორი, 1400, სტალინის ქ. №16, ტელ: 0370 273483

#48 25 დეკემბერი 2023 წ.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულისთავმჯდომარეს ბატონ
დავით რაზმაძეს

თქვენი 2023 წლის 12 დეკემბრის #**21-212334514** წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორისმუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ 2023 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშს.

2023 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნე“ ფუნქციონირებდა შეუფერხებლად. ბეჭდვური გამოცემა, ყოველკვირეული გაზეთი ,,გორის მაცნე“ და ა(ა)იპ-ის ელექტრონული ვერსია - საინფორმაციო პორტალი gmnews.com.ge, უწყვეტ რეჟიმში აწვდიდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ყველა საკითხზე ობიექტურ, ამომწურავ ინფორმაციას როგორც საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ასევე მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ, სოციალურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებზე.

მიმდინარე (2023) წლის განმავლობაში (ისევე, როგორც გასულ წლებში), ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ არცერთ თანამშრომელს არ უსარგებლია ფასიანი მივლინებით, ა(ა)იპ-ის არ ჰქონდა გამოყოფილი საწვავის ხარჯი.

აქვე წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ 2023 წლის ფინანსურ ანგარიშს

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ 2023 წლის ფინანსური ანგარიში

2023 წელს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ პროგრამების შესრულების მიზნით, გამოყოფილია 96000 ლარი, რაც კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. მუხლი „შრომის ანაზღაურება“ (8 საშტატო ერთეულზე) – 82279ლარი;

2. მუხლი „საქონელი და მომსახურება“ - 10721 ლარი, რაც თავის მხრივ მოიცავს:
   - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1330 ლარი
   - ოფისის ხარჯებს - 9391 ლარი,

3. არაფინანსური აქტივების ზრდა - 3000 ლარი

2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხა გაიხარჯა შემდეგნაირად:

1. „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან, ხელფასის სახით, 8 ძირითად საშტატო ერთეულზე საანგარიშო წლის განმავლობაში გაცემული იქნა 77455 ლარი, პრემიის სახით გაცემული იქნა 4820 ლარი

2. „საქონელი და მომსახურებისთვის“ მუხლიდან გაიხარჯა 10719,90 ლარი

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1330 ლარი
- საოფისე ხარჯებმა შეადგინა 9389,90 ლარი

მ/შ.

1. საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა - 193,50 ლარი

2. ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები - 6408 ლარი

3. კავშირგაბმულობის ხარჯი - 1991 ლარი

4. კომუნალური ხარჯი - 797,40 ლარი

1. არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯმა შეადგინა - 2799 ლარი.

საკასო ხარჯმა 2023 წლის იანვრიდან დღემდე შეადგინა – 95793,90 ლარი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
გაზეთი გორის მაცნეს
დირექტორის მ.შ. ინგა ნადირაძე